

<u>1</u>	ანგარიშვალდებულებული ერთეული (ცვლილებები წინა საანგარიშგებო პერიოდთან მიმართებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში)	ახალციხის მუნიციპალიტეტი
<u>2</u>	ანგარიშვალდებულებული ერთეულის საკონტაქტო ინფორმაცია (მისამართი, ტელეფონი, ელ.ფოსტა)	ქ. ახალციხი მ.კოსტავას ქ N18; TEL: (0365) 22 08 08 E-mail: akhaltsikhemia@gmail.com
<u>3</u>	საიდენტიფიკაციო ნომერი (ცვლილებები წინა საანგარიშგებო პერიოდთან მიმართებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში)	224101317
<u>4</u>	ორგანიზაციული ფორმა	სსიპ
<u>5</u>	დაფინანსების წყარო	საბიუჯეტო სახსრები, საკუთარი სახსრები
<u>6</u>	ანგარიშგების ტიპი	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
<u>7</u>	ანგარიშგების პერიოდულობა	წლიური
<u>8</u>	ანგარიშგების თარიღი და პერიოდი	31.12.2022 - წლიური
<u>9</u>	ერთეულების მომცველობა (კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემთხვევაში)	<ol style="list-style-type: none"> 1. ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგება და წყალანირება - 424068298 2. ა(ა)იპ ახალციხის სერვის ჯგუფი - 424255157 3. ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება - 424068573 4. ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება - 424068591 5. ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება-ახალციხის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა - 424254210 6. ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება-ახალციხის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა - 224090533 7. ა(ა)იპ ახალციხის ციხე - 424066735 8. ა(ა)იპ "ახალციხის მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების" - 424256236 9. ა(ა)იპ სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია - 424254194 10. ა(ა)იპ "ახალციხის სასაფლაოების მართვის ცენტრი" - 424256183 11. ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი - 424069554 12. ა(ა)იპ "ახალციხის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი" - 424069616 (მიმდინარეობს ლიკვიდაცია) 13. სსიპ ახალციხის მუნიციპალიტეტი - 224101317
<u>10</u>	ძირითადი საქმიანობების ჩამონათვალი	საქართველოს თვითმმართველობის კოდექსით განსაზღვრული: ა) მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებები; ბ) მუნიციპალიტეტის დელეგირებული უფლებამოსილებები. (იხ. შენიშვნა N1)
<u>11</u>	საანგარიშგებო ვალუტა	ლარი
<u>12</u>	დამრგვალების დონე	ერთეული
<u>13</u>	ორგანიზაციის ხელმძღვანელი	ირაკლი ლაზარაშვილი TEL: 577 05 06 60 E-mail: irakli.lazarashvili@akhtaltsikhe.gov.ge
<u>14</u>	ანგარიშგების შედგენაზე პასუხისმგებელი პირი	გელა ლომიძე TEL: 591 449 701 E-mail: nikolozigabrieli@gmail.com

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი

/ ირაკლი ლაზარაშვილი /

1 რაზგის - საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი:
24.04.2023

/ გელა ლომიძე /



ახალციხის მუნიციპალიტეტი

2022 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება

მუხლები	შენიშვნა*	საანგარიშგებო წელი	საანგარიშგებო წლის წინა წელი	
აქტივები				
მოკლევადიანი აქტივები				
001	ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	N2	12 391 931	7 999 929
002	მიმდინარე ინვესტიციები	N2ა	-	-
003	მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები	N2ა	145 794	155 063
004	მატერიალური მარაგები	N3	1 005 540	711 646
005	სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივები	N4	737 007	1 138 447
006	სულ მოკლევადიანი აქტივები		14 280 272	10 005 085
გრძელვადიანი აქტივები				
007	გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	N5	-	82 571
008	ძირითადი აქტივები	N6	197 913 038	201 275 756
009	საინვესტიციო ქონება	N7	-	-
010	არამატერიალური აქტივები	N8	22 930	2 600
011	შელავითაინი მომსახურების აქტივები	N9	-	-
012	ფინანსური იჯარით მიღებული აქტივები	N10	-	-
013	სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივები	N11	65 359 221	55 008 667
014	სულ გრძელვადიანი აქტივები		263 295 189	256 369 594
015	სულ აქტივები		277 575 461	266 374 679
ვალდებულებები				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
016	მოკლევადიანი ვალდებულებები ფასიანი ქაღალდებით	N12	-	-
017	მოკლევადიანი ნასესხები თანხები	N12	-	-
018	მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები, გარდა პროცენტისა	N13ა	634 240	505 192
019	გადასახდელი პროცენტი	N13ა	-	-
020	მიმდინარე ანარიცხები	N13ბ	-	-
021	სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	N13ა	-	-
022	ვალდებულებები დროებით განთავსებული სახსრებით	N13ა	-	-
023	სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		634 240	505 192
გრძელვადიანი ვალდებულებები				
024	გრძელვადიანი ვალდებულებები ფასიანი ქაღალდებით	N12	-	-
025	გრძელვადიანი ნასესხები თანხები	N12	419 363	539 181
026	გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანება ფინანსური იჯარით	N10	-	-
027	შელავითაინი მომსახურების შეთანხმებებით განსაზღვრული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	N9	-	-
028	გრძელვადიანი ანარიცხები	N13ბ	-	-
029	გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	N13ა	-	-
030	სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		419 363	539 181
031	სულ ვალდებულებები		1 053 603	1 044 373
წმინდა აქტივები/კაპიტალი				
032	საწესდებო კაპიტალი		-	-
033	გაუნაწილებელი ნამეტი/დეფიციტი		276 521 859	265 330 306
034	რეზერვები		-	-
035	სულ წმინდა აქტივები/კაპიტალი		276 521 859	265 330 306
036	სულ ვალდებულებები და წმინდა აქტივები/კაპიტალი		277 575 461	266 374 679

* მითითებულ შენიშვნებში აღსახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მუხლებთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი:



დირაქლი ლაზარაშვილი /

I რანგის - საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი:

გელა ლომიძე /

ახალციხის მუნიციპალიტეტი
 2022 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
 ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგება

სტრუქტურული კოდი	დასახელება	შენიშვნა*	საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა			წინა საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა
			საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	სულ	სულ
შემოსავლები						
001	საგადასახადო შემოსავლები	N14 ა	23 494 999		23 494 999	17 364 498.01
002	სოციალური შენატანები				-	
003	შემოსავლები სანქციებით, ჯარიმებით და საურავებით	N14 გ	1 272 242	1 319	1 273 561	704 078.22
004	შემოსავლები გრანტებით	N14 ბ	6 284 624	606 665	6 891 289	10 266 279.09
005	ტრანსფერები და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	N14გ N15ა	342 322	57 654	399 976	202 119.43
006	შემოსავლები შიდა ტრანსფერებით	N14 გ	-	-	-	0.00
007	შემოსავლები გაცვლითი ოპერაციებიდან გარდა პროცენტისა და გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლებისა	N15ა	704 460	1 442 183	2 146 643	2 054 161.01
008	გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებული მოგება	N15ბ N17ა**	230 625	-	230 625	1 215 626.18
009	საპროცენტო შემოსავლები	N15ა	914 537	17 630	932 167	429 534.91
010	გაუფასურების უკუგატარებით შემოსავლები	N16	-	-	-	0.00
011	სხვადასხვა შემოსავლები	N18	-	-	-	0.00
012	სულ შემოსავლები		33 243 810	2 125 451	35 369 261	32 236 296.85
ხარჯები						
013	შრომის ანაზღაურება	N17ა	7 788 583	254 056	8 042 639	6 139 385.43
014	საქონელი და მომსახურება	N17ა	6 955 837	929 303	7 885 140	5 920 696.09
015	გრანტები	N17ბ	190 000	204 365	394 365	225 475.00
016	სუბსიდიები	N17გ	15 206	-	15 206	18 910.00
017	ტრანსფერები და სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯები	N17ა	1 247 930	539 051	1 786 981	2 282 383.45
018	შიდა ტრანსფერებით ხარჯები	N17ა	-	-	-	0.00
019	ცვეთა და ამორტიზაცია	N17ა	4 458 220	18 032	4 476 252	4 562 955.85
020	სოციალური დახმარება/უზრუნველყოფა	N17ა	1 425 737	8 515	1 434 252	1 115 974.93
021	გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების გაყიდვიდან მიღებული ზარალი	N15ბ N17ა**	-	-	-	0.00
022	საპროცენტო ხარჯები (ფინანსური ხარჯები)	N17ა	59 365	-	59 365	61 961.00
023	გაუფასურების ხარჯები	N16	-	-	-	0.00
024	სხვადასხვა ხარჯები	N18	83 507	-	83 507	659 636.00
025	სულ ხარჯები		22 224 386	1 953 322	24 177 708	20 987 377.75
026	პერიოდის ნამეტი (დეფიციტი)		11 019 424	172 129	11 191 553	11 248 919.10

* მითითებულ შენიშვნებში აისახება ფინანსური შედეგების ანგარიშგების მუხლებთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია

**აისახება გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებულ შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობა

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი:

 ირაკლი ლაზარაშვილი /

I რანგის - საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი:

 / გელა ლომიძე /

ახალიზების მუნიციპალიტეტი
2022 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

სტრუქტურის კოდი	დასახელება	შენიშვნა **	საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა			წინა საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა		
			საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	სულ	საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	სულ
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან								
001	შემოსული თანხები		32 524 940	1 540 964	34 065 904	26 614 165	1 034 259	27 648 424
002	გადასახადები	N19	23 494 999		23 494 999	17 364 498		17 364 498
003	სოციალური შენატანები				-			-
004	გრანტები		5 797 959	75 000	5 872 959	6 813 088	231 493	7 044 580
005	შემოსავლები საკუთრივად		1 242 330	32 094	1 274 424	1 334 011	7 683	1 341 694
006	მ.შ პროცენტი		914 537	22 765	937 302	426 559	6 269	432 828
007	საქონლისა და მომსახურების გაყიდვებიდან მიღებული თანხები		376 510	1 431 354	1 807 864	234 254	790 790	1 025 044
008	საქვები, საურავები და ჯარიმები		1 272 242	2 516	1 274 758	701 669		701 669
009	სხვა შემოსავლები		340 742		340 742	164 258	2 812	167 070
010	დროებით გაურკვეველი თანხები		158		158	2 387	1 482	3 869
011	გასული თანხები		17 639 440	1 295 868	18 935 308	13 072 729	853 688	13 926 417
012	თანამშრომლების შრომის ანაზღაურება		2 828 338.89	289 851.70	3 118 191	1 953 729	271 200	2 224 929
013	მომწოდებლებისათვის გადახდილი თანხები საქონლისა და მომსახურების		2 780 738.98	951 514.39	3 732 253	2 177 721	569 647	2 747 368
014	გრანტები და სუბსიდიები		9 448 590.33	36 726	9 485 316	7 225 899		7 225 899
015	სოციალური დახმარება		1 405 356.84	8 515	1 413 872	1 090 541	3 967	1 094 508
016	გადახდილი პროცენტი		59 365.00		59 365	61 961		61 961
017	სხვა ხარჯები (გაცემები, გასვლები)		1 117 049.93	9 261	1 126 311	562 877	8 874	571 751
018	წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	N20	14 885 499.58	245 096	15 130 596	13 541 436	180 571	13 722 008
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან								
019	ძირითადი აქტივების შესყიდვა		10 804 967.36	47 419	10 852 386	9 904 661	63 921	9 968 582
020	არამატერიალური აქტივების შესყიდვა				-			-
021	სხვა გრძელვადიანი აქტივების შესყიდვა				-			-
022	ინვესტიციების (წილების) შესყიდვა				-			-
023	ფასიანი ქაღალდების შესყიდვა				-			-
024	გაცემული სესხები				-			-
025	სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივების ზრდა				-			-
026	ძირითადი აქტივების გაყიდვებიდან მიღებული თანხები		233 610		233 610	620 758		620 758
027	არამატერიალური აქტივების გაყიდვებიდან მიღებული თანხები				-			-
028	სხვა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვებიდან მიღებული თანხები				-	636 889		636 889
029	ინვესტიციების (წილების) გაყიდვებიდან მიღებული თანხები				-			-
030	ფასიანი ქაღალდების გაყიდვა				-			-
031	ფინანსური იჯარისგან მიღებული ძირითადი თანხები				-			-
032	სესხების დაფარვიდან მიღებული თანხები				-			-
033	სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივების კლება				-			-
034	წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		(10 571 356.90)	(47 419)	(10 618 776)	(8 647 015)	(63 921)	(8 710 935)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან								
034	მთავრობის მოკლევადიანი ფასიანი ქაღალდების გამოშვებიდან მიღებული				-			-
035	მთავრობის ობლიგაციების გამოშვებიდან მიღებული თანხები				-			-
036	უცხოურ ვალუტაში ფასიანი ქაღალდების გამოშვებიდან მიღებული თანხები				-			-
037	სხვა ნასესხები თანხებიდან მიღებული თანხები				-			-
038	მოკლევადიანი სამთავრობო ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვა (დაფარვა)				-			-
039	სამთავრობო ობლიგაციების გამოსყიდვა (დაფარვა)				-			-
040	უცხოურ ვალუტაში ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვა (დაფარვა)				-			-
041	ფინანსური იჯარის ძირითადი თანხის გადახდა (დაფარვა)				-			-
042	სხვა ნასესხები თანხების გადახდა (დაფარვა)		119 818.00		119 818	119 818		119 818
043	ვალდებულებები დროებით განთავსებული სახსრებით				-			-
044	ვალდებულებები დროებით განთავსებული სახსრებით ხაზინაში				-			-
045	ვალდებულებები დროებით განთავსებული სახსრებით ბანკში				-			-
046	დაბრუნების სარეზერვო ქვეანგარიში				-			-
047	წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		(119 818)	-	(119 818)	(119 818)	-	(119 818)
048	ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)		4 194 324.68	197 677	4 392 002	4 774 604	116 650	4 891 254

სტრუქტურის კოდი	დასახელება	შენიშვნა **	საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა			წინა საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა		
			საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	სულ	საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	სულ
049	ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	7 755 359	244 570	7 999 929	2 980 755	127 919	3 108 674
050	ხაზინის ერთიანი ანგარიში, ფულადი სახსრები სალაროში და კომერციულ ბანკებში ანგარიშები		7 755 359	244 570	7 999 929	2 980 755	127 919	3 108 674
051	ხაზინის სავალუტო ანგარიში				-			-
052	3 თვემდე ვადიანი დეპოზიტები				-			-
053	კურსთა სწვავით მიღებული მოგება (ზარალი)				-			-
054	ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	11 949 684	442 247	12 391 931	7 755 359	244 570	7 999 929
055	ხაზინის ერთიანი ანგარიში, ფულადი სახსრები სალაროში და კომერციულ ბანკებში ანგარიშები		11 949 684	442 247.00	12 391 931	7 755 359	244 570	7 999 929
056	ხაზინის სავალუტო ანგარიში				-			-
057	3 თვემდე ვადიანი დეპოზიტები				-			-

* ფორმა ივსება ერთეულის მიერ, რომელიც ახორციელებს ფულადი სახსრების მართვასა და კონტროლს

** მითითებულ შენიშვნებში აისახება ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების მუხლებთან დაკავშირებული მონაცემები

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი / ირაკლი ლაზარაშვილი /

I რანგის - საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი: / გელა ლომიძე /



ახალციხის მუნიციპალიტეტი
2022 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილებების შესახებ ანგარიშგება

საანგარიშგებო პერიოდი

სტრუქტურის კოდი	დასახელება	შენიშვნა *	საშესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი ნაშენი/დეფიციტი		რეზერვები	სულ წმინდა აქტივები/კაპიტალი
				საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები		
001	საწესი ნაშთი		0	264 515 817	652 187		265 168 004
002	სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებების რეტროსპექტული გამოცენება	N1					
003	წინა პერიოდების არსებითი შეცდომების რეტროსპექტული გადაანგარიშება	N1		(82 587)	32 270		(50 317)
004	კორექტირებელი ურთუქრადი გადაფასების შედეგად	N1		212 619			
005	კორექტირებელი კაპიტალის სხვა ცვლილებების შედეგად	N1					
006	გადაანგარიშებული საწესი ნაშთი		0	264 645 849	684 457		265 330 306
წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილება							
007	კაპიტალში შენატანები						
008	კაპიტალის ამოღება						
009	რეზერვების ზრდა/კლება						
010	პერიოდის ნაშენი/დეფიციტი			11 019 424	172 129		11 191 553
011	შესაკუთრებისათვის გასანაწილებელი თანხები						
012	საბიუჯეტო ნაშთი		0	275 665 273	856 586		276 521 859

წინა საანგარიშგებო პერიოდი

სტრუქტურის კოდი	დასახელება	შენიშვნა *	კაპიტალში შენატანები	გაუნაწილებელი ნაშენი/დეფიციტი		რეზერვები	სულ წმინდა აქტივები/კაპიტალი
				საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები		
001	საწესი ნაშთი			253 440 521	236 034		253 676 555
002	სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებების რეტროსპექტული გამოცენება	N1		-	-		
003	წინა პერიოდების არსებითი შეცდომების რეტროსპექტული გადაანგარიშება	N1		-	-		
004	კორექტირებელი ურთუქრადი გადაფასების შედეგად	N1		242 529			
005	კორექტირებელი კაპიტალის სხვა ცვლილებების შედეგად	N1					
006	გადაანგარიშებული საწესი ნაშთი		0	253 683 050	236 034		253 919 084
წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილება							
007	კაპიტალში შენატანები						
008	კაპიტალის ამოღება						
009	რეზერვების ზრდა/კლება						
010	პერიოდის ნაშენი/დეფიციტი			10 832 766.45	416 153.00		11 248 919.45
011	შესაკუთრებისათვის გასანაწილებელი თანხები			-	-		
012	საბიუჯეტო ნაშთი			264 515 817	652 187		265 168 004

* მითითებულ შემთხვევაში აისახება კმწინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილებების ანგარიშების მუხლებთან დაკავშირებით მდგომარეობის ინფორმაცია

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი:



/ ირაკლი ლაზარაშვილი /

I რანგის - საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი:

/ გელა ლომიძე /

ახალციხის მუნიციპალიტეტი
2022 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგება

საანგარიშგებო პერიოდი

სტრუქტურის კოდი	დასახელება	უნიშვნა	დამტკიცებული ბიუჯეტი (საწყისი)	დაზუსტებული ბიუჯეტი (საბოლოო)	ბიუჯეტის შესრულება (საკასო)	შესრულება (%)
ბიუჯეტის შემოსულობები						
001	გადასახადები		23 640 000	23 640 000	23 494 999	99%
002	გრანტები		5 753 411	5 753 411	5 797 959	101%
003	სხვა შემოსავლები		2 486 200	2 486 200	3 231 982	130%
004	არაფინანსური აქტივების კლება		283 600	283 600	233 610	82%
005	ფინანსური აქტივების კლება					0%
006	ვალდებულებების ზრდა					0%
007	სულ ბიუჯეტის შემოსულობები		32 163 211	32 163 211	32 758 550	102%
ბიუჯეტის გადასახდელები						
008	შრომის ანაზღაურება		3 080 355	3 056 810	2 828 339	93%
009	საქონელი და მომსახურება		3 167 930	3 404 735	2 780 739	82%
010	პროცენტი		62 000	62 000	59 365	96%
011	სუბსიდიები		9 493 765	9 493 765	9 188 590	97%
012	გრანტები		280 000	280 000	260 000	93%
013	სოციალური დახმარება		1 631 204	1 634 204	1 405 357	86%
014	სხვა ხარჯები		1 609 802	1 654 881	1 117 050	68%
015	არაფინანსური აქტივების ზრდა		20 392 452	20 082 850	10 804 967	54%
016	ფინანსური აქტივების ზრდა					0%
017	ვალდებულებების კლება		119 900	119 900	119 818	100%
018	სულ ბიუჯეტის გადასახდელები		39 837 408	39 789 146	28 564 225	72%
019	ბიუჯეტის ნაშთი	N21	(7 674 197)	(7 625 935)	4 194 325	

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი:

I რანგის - საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი:



ბ.ა.

/ ირაკლი ლაზარაშვილი /

გელა ლომიძე

/ გელა ლომიძე /

ახალციხის მუნიციპალიტეტის ერთიანი მუნიციპალური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების 2022 წლის ნაერთი (კონსოლიდირებული) ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები

I. ახალციხის მუნიციპალიტეტის ძირითადი საქმიანობების აღწერა

ადგილობრივი თვითმმართველობა არის საქართველოს მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში, ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები.

თვითმმართველი ერთეული არის მუნიციპალიტეტი. მუნიციპალიტეტი არის დასახლება (თვითმმართველი ქალაქი), რომელსაც აქვს ადმინისტრაციული საზღვრები, ან დასახლებათა ერთობლიობა (თვითმმართველი თემი), რომელსაც აქვს ადმინისტრაციული საზღვრები და ადმინისტრაციული ცენტრი. მუნიციპალიტეტს გააჩნია არჩევითი წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები (შემდგომ – მუნიციპალიტეტის ორგანოები), რეგისტრირებული მოსახლეობა და აქვს საკუთარი ქონება, ბიუჯეტი, შემოსულობები. მუნიციპალიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირია.

მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების სახეებია:

- ა) მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებები;
- ბ) მუნიციპალიტეტის დელეგირებული უფლებამოსილებები.

მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილება არის ამ კანონით დადგენილი უფლებამოსილება, რომელსაც ის დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით ახორციელებს.

მუნიციპალიტეტის დელეგირებული უფლებამოსილება არის სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოს უფლებამოსილება, რომელიც მუნიციპალიტეტს გადაეცა კანონის საფუძველზე ან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, სათანადო მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფით.

მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებებია:

- ა) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადება, განხილვა და დამტკიცება, დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანა, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენა და შეფასება; საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საბიუჯეტო სახსრების განკარგვა, სახაზინო ფინანსური ოპერაციებისა და საბანკო ტრანზაქციების წარმოება;

ბ) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა და განკარგვა ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით;

გ) ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების, მათ შორის, წყლისა და ტყის რესურსების და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის რესურსების, მართვა კანონით დადგენილი წესით;

დ) ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება და გაუქმება კანონით დადგენილი წესით, მათი განაკვეთების დადგენა კანონით გათვალისწინებული ზღვრული ოდენობების ფარგლებში; ადგილობრივი მოსაკრებლების ამოღება;

ე) მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების გეგმების, გენერალური გეგმებისა და განაშენიანების გეგმების/განაშენიანების დეტალური გეგმების შემუშავება და დამტკიცება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ვ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობა და შესაბამისი საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარება; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, პარკების, სკვერებისა და სხვა საჯარო ადგილების დასუფთავება, ტერიტორიის გამწვანება, გარე განათების უზრუნველყოფა;

ზ) მუნიციპალური ნარჩენების მართვა;

თ) წყალმომარაგების (მათ შორის, ტექნიკური წყლით მომარაგების) და წყალარინების უზრუნველყოფა; ადგილობრივი მნიშვნელობის სამელიორაციო სისტემის განვითარება;

ი) მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ი1) მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

ი2) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის უზრუნველყოფა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

კ) ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მართვა და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო მოძრაობის ორგანიზება; ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილებით უზრუნველყოფა და დგომის/გაჩერების წესების რეგულირება;

ლ) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემა; მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზება;

მ) გარე ვაჭრობის, გამოფენების, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირება;

ნ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემა, მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის განხორციელება, მიწის ნაკვეთისთვის ან/და შენობა-ნაგებობისთვის სამშენებლო განვითარების მიზნებისთვის შესაბამის მიწის ნაკვეთის ან/და შენობა-ნაგებობის სტატუსის მინიჭება, მიწის ნაკვეთზე აუცილებელი გზისა და სერვიტუტის დადგენა, ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების განხორციელება, აგრეთვე ამ მიზნით იურიდიული პირების დაფუძნება საქართველოს საკანონმდებლო აქტებით დადგენილი წესითა და დადგენილ ფარგლებში;

ო) შეკრებებისა და მანიფესტაციების გამართვასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება კანონით დადგენილი წესით;

პ) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების, კერძოდ, ისტორიულად ჩამოყალიბებული უბნის, თვითმმართველი ქალაქის ადმინისტრაციული ერთეულის, ამა თუ იმ ზონის, მიკრორაიონის, წყაროს, მოედნის, პროსპექტის (გამზირის), გზატკეცილის, ქუჩის, შესახვევის, ჩიხის, გასასვლელის, სანაპიროს, ესპლანადის, ბულვარის, ხეივანის, სკვერის, ბაღის, პარკის, ტყე-პარკის, ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის, სასაფლაოს, პანთეონის, შენობა-ნაგებობის, სატრანსპორტო სისტემის ობიექტის, სახელდება კანონით დადგენილი წესით;

ჟ) გარე რეკლამის განთავსების რეგულირება;

რ) შინაური ცხოველების ყოლის წესების დადგენა და უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა;

ს) სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა;

ტ) ადგილობრივი თვითმყოფადობის, შემოქმედებითი საქმიანობისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება; მუნიციპალიტეტში კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა და ამ მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება; ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის ძეგლთა მოვლა-შენახვა, რეკონსტრუქცია და რეაბილიტაცია; მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ბიბლიოთეკების, საკლუბო დაწესებულებების, კინოთეატრების, მუზეუმების, თეატრების, საგამოფენო დარბაზებისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების ფუნქციონირების უზრუნველყოფა და ახალი ობიექტების მშენებლობა;

უ) ადგილობრივი მნიშვნელობის ობიექტებზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, ბავშვებისა და მოხუცებისათვის სათანადო ინფრასტრუქტურის განვითარება, მათ შორის, საჯარო თავშესაფრის ადგილებისა და მუნიციპალური ტრანსპორტის სათანადოდ ადაპტირებისა და აღჭურვის უზრუნველყოფა;

ფ) უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფა და რეგისტრაცია;

ქ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელება;

ღ) ბავშვის უფლებათა კოდექსით გათვალისწინებული ბავშვის საჯარო სივრცეში დაცვის, საჯარო ღონისძიებაში მონაწილეობის მიზნით ბავშვთა ჯგუფური ტრანსპორტირების წესების დაცვის და ბავშვზე მეთვალყურეობის განმახორციელებელი

პირის (ღონისძიების ორგანიზატორის) მიერ ვალდებულებების შესრულების, ბავშვის ბეჭდურ მედიასთან, საჯარო კინოჩვენებაზე და მასობრივ გასართობ საცეკვაო ცენტრში (ღამის კლუბში) დაშვებისა და ბავშვისთვის ჩაწერილი ფილმის ხელმისაწვდომობის სამართლებრივი შეზღუდვების დაცვის, ბავშვისთვის ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ფსიქოტროპული, ტოქსიკური და თრობის სხვა საშუალებების, ალკოჰოლიანი სასმლის, თამბაქოსა და ნიკოტინის შემცველი ნაწარმისა და კაფსულის უსასყიდლო და სასყიდლიანი მიწოდების აკრძალვის წესების დაცვის მიზნით პრევენციული და შესაბამისი რეაგირების ღონისძიებების განხორციელება.

მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი, რომლის გადაწყვეტაც საქართველოს კანონმდებლობით არ არის ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილება და აკრძალული არ არის კანონით.

მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია განახორციელოს ღონისძიებები დასაქმების ხელშეწყობის, სოფლის მეურნეობის (მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის) მხარდაჭერის, ტურიზმის განვითარების, სოციალური დახმარების მიზნით, სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელ ორგანოსთან კოორდინაციით – ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, აგრეთვე ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობის, ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის, მასობრივი სპორტის ხელშეწყობის, გარემოს დაცვის, საზოგადოებრივი განათლების, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციის, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების, ადგილობრივი მნიშვნელობის არქივის წარმოების, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინვესტიციების მოზიდვის, ინოვაციური განვითარების მხარდაჭერის და სხვა მიზნებით.

II. კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს თვითმმართველი ერთეულის სამეურნეო ოპერაციებს

1. საქართველოს ორგანული კანონი - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი;
2. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი;
3. საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
4. საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“;
5. საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“;
6. საქართველოს კანონი „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“;
7. საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“;
8. საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულება „საქართველოში ბუღალტრული არღივებისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ ;
9. ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის N4 დადგენილება „ახალციხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“;
10. „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 05 მაისის N108 ბრძანება ;
11. „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და მისი გამოყენების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 15 იანვრის ბრძანება # 17 ;
12. „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 04 თებერვლის ბრძანება # 24 ;
13. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 05 აპრილის №99 ბრძანებით „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“;
14. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №424 ბრძანება „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“;
15. საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 02 დეკემბრის ბრძანება # 289;
16. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
17. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის შესახებ“;
18. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის №211 დადგენილება „პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“;
19. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილება, ტექნიკური რეგლამენტის – „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნაღები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ დამტკიცების შესახებ;

20. „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების და ინვენტარიზაციის შედეგების საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე აღრიცხვა-ანგარიშებაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის ბრძანება # 364;
21. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 ივლისის №1015 განკარგულება „შიდა აუდიტის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ და სხვა.

III. კონსოლიდირებული ერთეულების ჩამონათვალი

ახალციხის მუნიციპალიტეტის ერთიან მუნიციპალურ ბიუჯეტში (62-ე ბიუჯეტი), გარდა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოსი, შედის ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული 11 ა(ა)იპ-ი და აგრეთვე, სამცხე-ჯავახეთის მუნიციპალიტეტების მიერ ერთობლივად დაფუძნებული 1 ა(ა)იპ-ი:

N რიგზე	ორგანიზაციის კოდი 62-ე ბიუჯეტი	ორგანიზაციის დასახელება	დამფუძნებელი	ს/კ
1	02 02 04	ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგება და წყალანერება	ახალციხის მუნიციპალიტეტი	424068298
2	03 02	ა(ა)იპ ახალციხის სერვისი ჯგუფი	ახალციხის მუნიციპალიტეტი	424255157
3	04 01 01	ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება	ახალციხის მუნიციპალიტეტი	424068573
4	05 02 01	ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება	ახალციხის მუნიციპალიტეტი	424068591
5	05 02 02	ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება-ახალციხის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა	ახალციხის მუნიციპალიტეტი	424254210
6	05 02 03	ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება-ახალციხის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა	ახალციხის მუნიციპალიტეტი	224090533
7	05 02 04	ა(ა)იპ ახალციხის ციხე	ახალციხის მუნიციპალიტეტი	424066735
8	05 01 05	ა(ა)იპ "ახალციხის მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანება" (ჩამოყალიბდა ა(ა)იპ სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება-ქ. ახალციხის კომპლექსური სასპორტო სკოლისა- 224090524 და ა(ა)იპ ახალციხის მძლეოსნობის სპორტული კლუბის - 424068065 შერწყმის შედეგად)	ახალციხის მუნიციპალიტეტი	424256236
9	02 08 02	ა(ა)იპ ახალციხის სასაფლაოების მართვის ცენტრი"	ახალციხის მუნიციპალიტეტი	424256183
10	05 05	ა(ა)იპ სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია	ახალციხის, ადიგენი, ასპინძის, ზორჯომის, ნინოწმინდისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტები	424254194
11	06 01 01	ა(ა)იპ "ახალციხის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი" (მიმდინარეობს ლიკვიდაცია)	ახალციხის მუნიციპალიტეტი	424069616
12	06 02 04	ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი	ახალციხის მუნიციპალიტეტი	424069554

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო განიხილება ერთ სააღრიცხვო ერთეულად, ერთიან საბიუჯეტო ორგანიზაციად.

ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ ასევე 100%-იანი წილით დაფუძნებულია შემდეგი 3 შპს:

N რიგზე	ორგანიზაციის დასახელება	ს/კ	საკუთარი კაპიტალი 01.01.2023-სათვის (ლარი)
1	შპს კეთილმოწყობა	424253195	-37,774
2	შპს სერვისი	424253391	36,838

3	შპს სავანე (მიმდინარეობს ლიკვიდაცია)	404400689	-
		სულ ჯამი:	-939

IV. ბუღალტრულ აღრიცხვაში გამოყენებული შიდა აღრიცხვის წესები (სააღრიცხვო პოლიტიკა) და სხვა განმარტებები

1. ახალციხის მუნიციპალიტეტის ორგანოების და აგრეთვე მის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების ბუღალტრული აღრიცხვა ხორციელდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ორგანიზაციებში აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა შიდა აღრიცხვის წესების (სააღრიცხვო პოლიტიკის) შემუშავებაზე, თუმცა ჯერ-ჯერობით იგი არაა დამტკიცებული; ძირითად სახელმძღვანელო ინსტრუქციას წარმოადგენს „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 05 მაისის N108 ბრძანება.
2. სასაქონლო მატერიალური მარაგები:
 - ა) მატერიალური მარაგების აღიარება ხდება თვითღირებულების თანხით
 - ბ) ერთგვაროვანი მატერიალური მარაგების თვითღირებულებები განისაზღვრება: პირველი შემოსული პირველი გადის (FIFO) ფორმულით.
 - გ) არაერთგვაროვანი მატერიალური მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება ინდივიდუალური დანახარჯების იდენტიფიკაციის მეთოდის მიხედვით.
3. ძირითადი აქტივები:
 - ა) ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი აქტივების შეფასება თვითღირებულების მოდელის გამოყენებით ხდება.
 - ბ) ძირითად აქტივებს ცვეთა წრფივი მეთოდის გამოყენებით დაერიცხება.
 - გ) ცვეთის დარიცხვისათვის სასარგებლო მომსახურების მინიმალური ვადები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 2 დეკემბრის N289 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“
4. არამატერიალური აქტივები:
 - ა) ფინანსურ ანგარიშგებაში არამატერიალური აქტივების შეფასება თვითღირებულების მოდელის გამოყენებით ხდება.
 - ბ) არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია წრფივი მეთოდის გამოყენებით დაერიცხება.
 - გ) ამორტიზაციის დარიცხვისათვის სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 2 დეკემბრის N289 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“

ახალციხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში დაკორექტირებულია წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილებების შესახებ ანგარიშგების საწყისი ნაშთები, კერძოდ:

წინა პერიოდების არსებითი შეცდომების რეტროსპექტული გადაანგარიშება

საანგარიშგებო პერიოდი

1. სსიპ "დაავადებათა კონტროლისა და საზ. ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან" გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების ფარგლებში (სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამები) უსასყიდლოდ მიღებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების 2018-2021 წლების ხარჯვა დაზუსტდა, რაც ასახულია შესაბამის ელექტრონულ პორტალში - portal.ncdc.ge. - რის შედეგადაც საერთო ჯამში მარაგებისა და კაპიტალის (საკუთარი სახსრების) საწყისი ნაშთები 01.01.2022-სათვის შემცირდა 60 966 ლარით. (ა(ა)იპ "ახალციხის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი" (მიმდინარეობს ლიკვიდაცია))

2. სსიპ "დაავადებათა კონტროლისა და საზ. ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან" გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების ფარგლებში (სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამები) 2021 წელში გაწეული მომსახურებასთან დაკავშირებული ვალდებულებები შეცდომით იყო აღიარებული 10 649 ლარით მეტი. შეცდომა გასწორდა, რის შედეგადაც საერთო ჯამში ვალდებულებების საწყისი ნაშთი 01.01.2022-სათვის შემცირდა 10 649 ლარით, ხოლო კაპიტალის (საკუთარი სახსრების) საწყისი ნაშთი 01.01.2022-სათვის გაიზარდა 10 649 ლარით. (ა(ა)იპ "ახალციხის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი" (მიმდინარეობს ლიკვიდაცია))

3. 2022 წელს სალიკვიდაციო ღონისძიებების ფარგლებში ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად დაზუსტდა ფინანსური და არაფინანსური აქტივების წამოშობის წყაროები, შესაბამისად 82587 ლარით გაიზარდა საკუთარი სახსრებით გაუნაწილებელი ნამეტი/დეფიციტის ანგარიში, ხოლო ამავე თანხით შემცირდა საბიუჯეტო სახსრებით გაუნაწილებელი ნამეტი/დეფიციტის ანგარიში. (ა(ა)იპ "ახალციხის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი" (მიმდინარეობს ლიკვიდაცია))

საანგარიშგებო პერიოდი

- კორექტირებები ერთჯერადი გადაფასების შედეგად - 212 619 ლარით გაიზარდა გაუნაწილებელი ნამეტი/დეფიციტის (საბიუჯეტო სახსრებით) საწყისი ნაშთი და შენიშვნა N6 ძირითადი აქტივები, სტრიქონი „060“ მიწა - მუნიციპალიტეტის მიერ 2022 წლის განმავლობაში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ნორმატიული ფასებით ბალანსზე აყვანის გამო.

წინა საანგარიშგებო პერიოდი

- კორექტირებები ერთჯერადი გადაფასების შედეგად - 242 529 ლარით გაიზარდა გაუნაწილებელი ნამეტი/დეფიციტის (საბიუჯეტო სახსრებით) საწყისი ნაშთი - მუნიციპალიტეტის მიერ 2021 წლის განმავლობაში ბალანსზე აყვანის მიზნით შემფასებლის მიერ ძირითადი აქტივების ერთჯერადად შეფასების შედეგად.

ნაერთი ანგარიშგება შედგენილია სრული კონსოლიდაციით, შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

1. კონსოლიდირებისას ამოთიშულია განმკარგავების მიერ ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება. და აგრეთვე ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიასა და კონსოლიდირებულ ერთეულებს შორის განხორციელებული ოპერაციები. (ხარჯები და შემოსავლები შიდა ტრანსფერებით)
2. ვინაიდან მუნიციპალიტეტს, ობიექტური მიზეზების გამო, ამ ეტაპზე არ გააჩნია სრული ინფორმაცია დარიცხული შემოსავლების შესახებ, მათი ნაწილის აღრიცხვა ხორციელდება საკასო მეთოდით, ნაწილისა კი - დარიცხვის მეთოდით;
